საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 14

2014 წლის 5 თებერვალი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესის“ შესაბამისად გათვალისწინებული პრიორიტეტების კომისიისა და კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ

მიმდინარე და მომდევნო წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების შემუშავების (მათში ცვლილებების შეტანის), შერჩევის კოორდინაციის, პროგრამების (ქვეპროგრამების) განხორციელებაზე მონიტორინგისა და მათ მიმდინარეობაზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავების, ასევე დაწესებულებების საშუალოვადიანი გეგმების განახლების პროცესის კოორდინაციის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესის“ მოთხოვნათა განხორციელების უზრუნველსაყოფად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად:

1. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესის“ შესაბამისად გათვალისწინებული პრიორიტეტების კომისია (შემდგომში „პრიორიტეტების კომისია“).

2. პრიორიტეტების კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) რამაზ ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე (პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ბესიკ ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე (პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
შემოსული კორესპონდენცია
№ 701 " 06.02. 2014
ფურცლების რაოდენობა 3

გ) იოსებ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

დ) რომან ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

ე) ვალერი ბერაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი.

3. პრიორიტეტების კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით შედიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტის უფროსი, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა (გამგეობა, მერია) ხელმძღვანელები, ასევე დაინტერესებული პირები (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები), თანახმად დანართისა.

4. პრიორიტეტების კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული და საინფორმაციო მხარდაჭერა უზრუნველყოს პრიორიტეტების კომისიის სამდივნომ, რომლის შემადგენლობაში შედიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი (პრიორიტეტების კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლები.

5. პრიორიტეტების კომისია (პრიორიტეტების კომისიის სამდივნო) თავის საქმიანობას წარმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესის“ შესაბამისად.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე **არჩილ ხაბაძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
2014 წლის 5 თებერვლის № 14 განკარგულების
დანართი

**პრიორიტეტების კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით
მონაწილე დაინტერესებულ პირთა ნუსხა**

1. ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“-ს ბათუმის ფილიალის დირექტორი.
2. ლევან გობაძე - ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს გამგეობის თავმჯდომარე.
3. ციალა ქათამიძე - ა(ა)იპ „ბორჯღალი“-ს აღმასრულებელი დირექტორი.
4. გიორგი შალამბერიძე - შპს „IGC&MM“-ის დირექტორის მოადგილე, ეკონომისტი.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ
ᲬᲝᲠᲘᲐ:
ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ
ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ
№ 1